

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,
ფაქტობით და ჩაბრებით ბუდის
გაფანა ყულა უჯადისდბაგ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

შაბათი, 19 დეკემბერი, 2015 წელი.

№239 (7884)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

ვიზალიზირებულია საპარტიო ნაბიჯი ანგარიში გამოქვეყნებულია!

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საქართველომ ვიზალიზირებულია საპარტიო ნაბიჯი ანგარიში გამოქვეყნებულია. ამ ანგარიშით საფიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი დასრულდა.

არსებული პროცედურის თანახმად, ევროკომისია რეკომენდაციით მიმართავს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპის პარლამენტს საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების შესახებ, რის შემდეგაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ უნდა იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილება.

დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ევროკავშირის რეგულაციაში №539/2001 შეტანილ იქნება ცვლილება და საქართველოს მოქალაქეებისათვის შენგენის ქვეყნებში (+შენგენის 4 კანდიდატი ქვეყანა: რუმინეთი, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი) უვიზო მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდება.

საპარტიო ნაბიჯი ანგარიში გამოქვეყნებულია ევროკავშირის რეგულაციაში ცვლილება 2016 წლის დასანვისში შევა, — ნათქვამია ევროკომისიის მიერ ვიზალიზირებულია საპარტიო ნაბიჯი ანგარიში გამოქვეყნებულია ანგარიშიში.

არსებული პროცედურის თანახმად, ევროკომისია რეკომენდაციით მიმართავს ევროკავშირის საბჭოსა და ევროპის პარლამენტს, საქართველოს მოქალაქეთათვის შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღების შესახებ, რის შემდეგაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ მიღებულ უნდა იქნას პოლიტიკური გადაწყვეტილება.



ჯანსუღ ჩარკვიანი


საპარტიო

საქართველო რუსთაველის დინსია, საქართველოს არაფისი მართებს, როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს, საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს!

საქართველოს ისტორია მიცვნიან, იმას ვებრძვი, ქვეყნად რაც აუგია, საქართველო უსასრულო სიფრცვა, საქართველოს ომი არ წაუგია!

ვეუბნები ჩემს ჯილაგს და ნაგრამს, მერე რა, რომ უამი დროის წახდა, ახლა სძინავს საქართველოს, მაგრამ ვიცი, ვიცი, გაიღვიძებს ნაღდად!

კენა
მე ვენაცვალე თქვენს დედაენას, ჩემი ენა რომ არ დამიჩრდილეთ, ვაშა ავსტრიას, დიდება ვენას, მე თქვენ მამუკა გადამიჩინეთ!



ირაკლი სსსიაშვილი:

უპასუხისმგებლო განცხადების მსხვერპლი განმცხადებელი

იმავეს რომ არ ვიპოვებთ, ესაქ საპარტიო ნაბიჯის აღდგენა



პრაზიული სივრცისკენ ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იძულებულია

უზღიწვან ბრძოლაში საქართველოსთან „საზიზო კონკურენციაში“ გამოიწვია

არსენ ავაკოვმა მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლა

უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს სასამართლოში უჩივლა. ავაკოვის განცხადებით, ანალოგიური გადაწყვეტილების მიღებას უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკიც გეგმავს.


არსენ ავაკოვმა უკრაინულ „სტუდია „1+1“-ის ეთერში განაცხადა, რომ სასამართლოში სარჩელი პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ სააკაშვილის ბრალდებების საპასუხო დეკლარაცია შეიტანა.

„როცა ამბობ, რომ ადამიანი ქურდია, ამისთვის პასუხი უნდა აგო. როგორც ჩემთვის ცნობილია, ბატონი იაცენიუკიც აპირებს ამის გაკეთებას“, — განაცხადა არსენ ავაკოვმა.

„1+1“-ის ეთერში ავაკოვმა ინციდენტის გამო უკრაინელებს ბოდიში მოუხადა.

არსენ ავაკოვისა და მიხეილ სააკაშვილის სიტყვიერი დაპირისპირება 14 დეკემბერს, რეფორმების ეროვნული საბჭოს სხდომაზე მოხდა, რა დროსაც მინისტრმა გუბერნატორს წყალი შეასხა (წყლით სავსე ქილა ესროლა).

დღის ამოჯახურიდან
— ვადასტურებ რომ ეს როცა სააკაშვილს, ომი მის უნდა გამოვუცხადოთ — უკრაინას თუ სომხეთს?!



საქართველოს

6 თვე - 60 ლარი

გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორგე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მახაბლის 7. **ხელმოწერის ინდექსი 66434**

გზად – მომავლისკენ!

ირაკლი ღარიბაშვილი: ქართველმა ხალხმა

თანამედროვეთა და მრავალი თაობის ოცნება აიხდინა

ევროკომისიის მიერ საქართველოს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ირაკლი ღარიბაშვილმა საგანგებო მიმართვა გააკეთა და გუშინდელ დღეს „ისტორიული“ უწოდა.

„დღეს ჩვენი ქვეყნისთვის, მისი თითოეული მოქალაქისთვის ისტორიული დღეა. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველომ გადაადგა ნაბიჯი, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენი მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. სულ ცოტა წინა ვეროკომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელსაც ყველა ასე მოუთმენლად ველოდით. კომისიამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისთვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განხორციელდა. ეს არის პრინციპული თანხმობა უვიზო მიმოსვლაზე სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენ უკვე მივაღწიეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ამის შემდეგ ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს. კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე მომდევნო წლიდან საქართველოს მოქალაქეებს უნდა მიეცეთ ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები სვალზე აიღებენ ბილეთებს და ევროპაში უვიზოდ გაემგზავებიან. საბოლოო გადაწყვეტილებამდე გასაგებელია გარკვეული ეტაპები, რაც სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რამდენიმე თვეს მოიცავს. თუმცა, დღეს ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ევროკავშირმა ფაქტობრივად აღიარა ჩვენი განუხრელი ერთგულება ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლა ევროპული თანამედროვეობისკენ სწრაფვის გზაზე, ის თანმიმდევ-



რული ძალისხმევა, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ გასწია რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებლად. ამ შრომამ ევროპელი კოლეგების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ლიდერი სახელმწიფო ვართ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე განმარტებით, დღევანდელი გადაწყვეტილება დასტურია, რომ ევროპის კარი ღიაა საქართველოს მოქალაქეებისთვის.

„დღეს ჩვენ თანამედროვეთა და მრავალი თაობის, ჩვენი წინაპრების ოცნება ავიხდინეთ. მიუხედავად მრავალი შიდა თუ გარე წინააღმდეგობისა, ხალხისა და ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით შედეგი მიღწეულია. ამ ისტორიული გადაწყვეტილებით ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი იწყება. საქართველოს წინაშე სრულიად ახალი შესაძლებლობები იხსნება. ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ყველა დონეზე ურთიერთობათა გაღრმავება, ქალაქების დაძმობილება, სტუდენტური და სამოქალაქო გაცვლითი პროგრამები, ევროპის ასოციაციებში განხილვა, თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან – სულ მალე ეს ყველაფერი სრულიად ახალ, უფრო ღრმა და მონაარსიან განზომილებას შეიძენს. ჩვენი მოქალაქეები შეძლებენ ევროკავშირში ნახევარი წლის განმავლობაში 90 დღის მანძილზე უვიზოდ შესვლას ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში. შეგვიძლებათ ევროპაში ბარიერ-

ების გარეშე იმოგზაუროთ ოჯახთან ერთად, დაგეგმოთ საქმიანი ვიზიტი, ეწვიოთ მეგობრებს, ნათესავებს, ჩაერთოთ საზაფხულო სკოლებში, მონაწილეობა მიიღოთ კონფერენციებში და სხვა გამოფენებში და ა.შ. ევროპასა და საქართველოს შორის შთამბეჭდავი თანამშრომლობის ამ მაგალითის უკან დგას მრავალი ადამიანის ძალისხმევა, ჩვენი ქვეყნის ყველა საჯარო სტრუქტურის პროფესიონალიზმი. ასევე, უდიდესი მხარდაჭერა, რომელსაც ევროპელი პარტნიორებისგან, ევროკავშირისგან წლების განმავლობაში ვიღებთ. ჩვენ ეს გზა ერთად გავიარეთ“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა მაღლობა გადაუხადა თითოეულ პირს, რომელმაც აღნიშნული მიზნის მიღწევაში წვლილი შეიტანა. პრემიერის თქმით, უპირველეს ყოვლისა, მაღლობა ეკუთვნის ქართველ ხალხს, ვისაც ყველაზე რთულ პერიოდებშიც კი არასდროს დაუყენებია კითხვის ნიშნის ქვეშ მთავარი ღირებულება – თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ევროპული ფასეულობები.

„ევროპა არის არა უბრალოდ რაციონალური არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ისტორიული სახლი. ამ სიტყვაში – ევროპა – განსახიერებულია ყველაფერი, რისკენაც ჩვენი ერი მიისწრაფის. ეს არის თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და თანასწორობა, მშვიდობა და ნათელი მომავალი ჩვენი შვილებისთვის, განვითარების პირობები ყველასათვის. რაც მთავარია, ესაა ჩვენი უნიკალურობის, თვითმყოფადობის სრულად რეალიზების ახალი სივრცე. ესაა გზა საქართველოს ერთიანობისკენ. მხოლოდ თანამედროვე ევროპული ქვეყნის შენებით გაგხდით ჩვენი ქვეყანას მიმზიდველს აფხაზი და ოსი ძმებისთვის. დადგება დღე, როცა ისინიც სრულად ისარგებლებენ სიკეთეებით, რაც ევროპულ ინტეგრაციას მოაქვს. ეს წარმატება არის ახალი გზის დასაწყისი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის ამ დიდ გამარჯვებას! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“, – განმარტა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● რამდენი აკლია? სომ არ შევბავროვოთ და ბარემ თქვას, თორემ ისინი მეტიც გადახდებოდნენ არ არიან! (მიშას და ზოგიერთი „პოლიტიკოსის“ სმაილიკი)

● ბილეთი მოსკოვამდე უფრო იაფია თუ ევროპამდე? (ეს უფრო სანტიმეტრისა, თორემ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ერთი და იგივეა და ხანდახან მოსკოვი ჯობია რაღაც რაღაცეებში.)

● ევროპა, ფუტები გაამზადე, ქართველები მოდიან!!!

● ელისაშვილის იმთავითვე ბუნდოვან ამბებზე უფრო მნიშვნელოვნად, მე იმის გარკვევა და იმ არაკაცების სამაგალითო დასჯა მიმაჩნია, ვინც რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებში ყოველად თავის ცაუმძაღვარ დინგს და ცდილობდა ქართულ სინამდვილეში ეს ერთადერთი ნათელი და საამაყო ნაკრძალიც შეერყვნა და დაეზინძურებინა.

ნორმალურ ქვეყანაში, სულ ცოტა ორი მინისტრი (სპორტის და სპორტი რომ თავისი შკონია ის) გადაწყვეტოდა ამ ამბავს.



● ევროპის კრემლი რომელია? კონიაკები და საჭი უნდა გავუგზავნო სახალწლოდ მაგათ გენსეკს!!!

● ისკანდერული ინფორმაცია: ევა ბესელიამ სკანდალას (ისკანდერ ელისაშვილი კილაძისას) მესიჯი, მგონი, ინგლისურად მისწერა. ჯერ ვერ გაშიფრეს, ძველ კულტურადაც სცადეს და არ იკითხება!!!

● ნაძვის ხეზე გირჩები რომ ჩამოგვიდო, დამიჭერენ? ამოკრიბა ბია გაპრიჩიჩი

სკანდალი

უპასუხისმგებლო განსხვავების

პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ფიქრობს, რომ საკრებულოს წევრი ალექო ელიშაშვილი ჟურნალისტის ამპლუიდან ვერ გამოვიდა და პოლიტიკოსად ვერ ჩამოყალიბდა. დეპუტატი მიიჩნევს, რომ შეწყალების კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ მტკიცებულებებზე მას შემდეგ იფიქრა, რაც პ ა ტ ი მ ა რ თ ა შეწყალების თაობაზე პოლიტიკური განცხადება გააკეთა და შემდეგ მას პასუხი მოსთხოვეს.

შენწყალების კომისიის გარშემო განვითარებულ პროცესებზე, for.ge ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა:

– პოლიტიკაშიმართა და შეწყალების კომისიის გარშემო ვნებათაღელვა არ წყდება. თითქმის ყოველდღე ახალი ბრალდებები ისმის. როგორ აფასებთ ალექო ელისაშვილის განცხადებებს?

– გულწრფელად გეტყვი, რომ ელიშაშვილი მორალურად მეცოდება. იგი

იმავეს რომ არ ვიფიქრობთ, ესაა სამართლიანობის აღდგენა

ამბობს, რომ ამ საქმეს თავს შესწირავს. ეს იმ ადამიანის განცხადებაა, რომელიც იმას აჩვენებს, რომ საკუთარ შესაძლებლობებში და რწმუნებულ არ არის. ელისაშვილს, როგორც პიროვნებას, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ პარლამენტში ძალიან ბევრი კარგი პიროვნებაა, რომელმაც პოლიტიკურ სივრცეში საკუთარი თავის ადეკვატურად გამოჩენა ვერ შეძლო. მგონია, რომ ელისაშვილმა პოლიტიკური შეცდომა დაუშვა.

– რა შეცდომას გულისხმობთ?

– ის ჟურნალისტის ამპლუიდან ვერ გამოვიდა და პოლიტიკოსად ვერ ჩამოყალიბდა. ოთხი წლის მანძილზე თუკი რაიმე ვისწავლე, ისაა, რომ სანდო ინფორმაცია არ არსებობს და საკუთარი ანალიზი საკმარისი არ არის საჯარო განცხადებების გასაკეთებლად. პოლიტიკოსის საჯარო განცხადება დიდ პასუხისმგებლობას ნიშნავს, ელისაშვილმა კი ისეთი განცხადება გააკეთა, რომელიც მის ეჭვებს ეფუძნება და არა ფაქტებს. ის საკუთარი განცხადების მიქვეალი აღმოჩნდა. როცა ვინმესკენ თითქმის იშვერ და სერიოზულ ბრალდებას უყენებ,

შესაბამისი მტკიცებულებები უნდა გქონდეს. მეჩვენება, რომ მან მტკიცებულებებზე მას შემდეგ იფიქრა, რაც პოლიტიკური განცხადება გააკეთა და მას პასუხი მოსთხოვეს.

– ანუ, თქვენ ეჭვობთ, რომ ელისაშვილმა რაღაც პოლიტიკური თამაში წამოიწყო?

– მან პოლიტიკური თამაში კი არ წამოიწყო, უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა და ამის მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, ეს მისი პირველი განცხადება არ არის, რომელსაც ვერ ამტკიცებს. ბოლოს, მან ლექსო თამაზაშვილის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა, სადაც საუბარია ვილაცის ვარაუდებზე და არა რაიმე სახის მტკიცებულებაზე. ვერ წარმომიდგენია, რომ ლექსო თამაზაშვილმა რაიმე ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც სხვის ჩაგვრას გამოიწვევს.

– ბატონო ირაკლი, „თამაზაშვილების კლანზე“ ლამის ლეგენდები დადიოდა, რის გამოც ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის მოთხოვნით, ისინი ხელისუფლებას ჩამოაშორეს და ამის ნათელი დასტური ზვიად ჯანყარაშვილი იყო...

– სამწუხაროდ, ელისაშვილმა აბსურ-

დის თეატრის მოთამაშეები გაგვხადა, რადგან საზოგადოება ყოველთვის სუსტის მხარესაა და თვლის, რომ ძლიერი ჩაგრავს. ელისაშვილი რომ გამოვიდეს და თქვას, სესიაშვილი საქესთან ნასვამი იჯდა და შემდეგ პოლიციელს ხელი გარტყაო, ამას, ვინც არ მიცნობს, ყველა დაიჯერებს.

– ელისაშვილი ამბობს, რომ თუ გამოძიება ობიექტურად არ წარიმართება, ის ყველა იმ პირის გვარს დაასახელებს, ვინც პატიმრების შეწყალების თაობაზე მესიჯებს უგზავნიდა თუ ურევდა. ამასთანავე, ელისაშვილი პრეზიდენტს მოუწოდებს, იმ მსხვერპლის არსებობის თაობაზე დაადასტუროს ინფორმაცია, რომელიც მისი ცნობით, მან გიორგი მარგველაშვილს უჩვენა. პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი, მსგავსი მესიჯების არსებობას ადასტურებს...

– ჩვენ ვსაუბრობთ არა მტკიცებულებებზე, არამედ ელისაშვილის ფიქრებზე. ის არ ამბობს, რომ მსს-ით 200 ათასი იყო შეთავაზებული. ელისაშვილმა ვილაცის მესიჯი როგორც აბსურდი ამაზე რა ფიქრები აბაო, ამაზე საუბარი რთულია. ელისაშვილმა თქვა, რომ ერთ-ერთ

მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „სოციალურად აქტიურება“ კვლავ რჩება მმართველ კოალიციასთან საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის დავის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა.

უამრავჯერ ითქვა და სათანადო ანგარიშითაც დადასტურდა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს პენსიების მეტად გაზრდის შესაძლებლობა არა აქვს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ბევრი მომენტი, ცოტა არ იყოს, საკამათოა, მაგრამ ისიც ხომია, რომ სოციალური მხარე მართო პენსიებით არ შემოიფარგლება?! განა სახელმწიფო საყოველთაო სამედიცინო პროგრამის უზრუნველყოფას ცოტა სახსრები სჭირდება? სხვა საქმეა, რომ ხანდაზმულობით პენსიების საკითხისადმი მიდგომა ძირშივე არ არის სამართლიანი, რადგან დიდი სტაჟის მქონე, დამსახურებული პირიც და სხვაც, მას ერთნაირად იღებენ, თანაც განსხვავება პროფესიებშიც არის – მავალითად, მაღალი რანგის სახელისუფლებო დაწესებულების (იმავე პარლამენტის) რიგითი თანამშრომლებიც კი შეუდარებლად მაღალ პენსიებს იღებენ და თუ რატომ, ამას თავადაც ვერ ხსნიან. ის კი, რომ არა თუ „რიგითი“, „გაძლიერებული“ პენსიაც არასაკმარისია ასაკოვანი კაცის ღირსეულთან თუნდაც მეტ-ნაკლებად მიახლოებული ცხოვრების დონესთან, უკვე სულ სხვა თემაა.

საქართველოში საპენსიო რეფორმის აუცილებლობაზე ლაპარაკი, ფაქტობრივად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მალევე დაიწყო, მაგრამ ერთადერთი, რაც იმ დროიდან მოყოლებული არსებითად კეთდება, ესაა მისი ოდენობის, რომ იტყვიან, „ჩაის კოვზით“ გაზრდა და აი, მეოთხედი საუკუნის თავზე ის, როგორც იქნა, 100 დოლარს გაუტოვდება!

ქვეყანაში ამჟამად სოლიდარულ პრინციპზე დამყარებული საპენსიო სისტემა მოქმედებს, რომლის არსი ის გახლავთ, რომ პენსიები მომუშავეთა შემოსავლიდან ბიუჯეტში დაგროვილი გადასახადებით ფინანსდება. რაც შეეხება თავად ასაკით პენსიის ოდენობას, მისი ღირსეულად არსებობა თუნდაც მინიმალური ზღვრის მახლობლად, ამის თაობაზე მანამდე არაერთგზის გვექონია ლაპარაკი და ამ ჯერზეც გავიმეორებთ: ამის „პენსია“ მონათვლა მხოლოდ, რომ იტყვიან, „ზრდილობის საკითხია“, თორემ მსოფლიოში მიღებული სოციალური ზრუნვის ამ კატეგორიასთან მას საერთო ბევრი არაფერი აქვს, რადგან ის, არსებითად, მწირი სოციალური შემწეობაა.



რვენი გახვრებილი საპენსიო ქისა

ბუნებრივია, რომ ბოლომდე გაუმართავი ეროვნული ეკონომიკის, დემოგრაფიული ფაქტორის, გაბერილი ბიუროკრატიული აპარატის შენახვისა და მისი ფუნქციების უზრუნველყოფის, უამრავი უარყოფითი გარე ფაქტორის წინაშე, გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის შემდგომი შოკებისა და ახლო სამეზობლოში უაღრესად დამაბული სამხედრო-პოლიტიკური ვითარებით განპირობებული მძიმე სოციალური ფონის პირობებში წლიდან წლამდე პენსიონერთა შენახვა, სახელმწიფოს თანდათანობით სულ უფრო ძვირი უჯდება. ზემოთ დემოგრაფიული ფაქტორი ვახსენებ და ეს შემთხვევითი არ ყოფილა: როცა ქვეყანაში დაახლოებით 3,5 მილიონი კაციდან 697 ათასზე მეტი პენსიონერია, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობა ნელ-ნელა ბერდება. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, შარშან პენსიებზე სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველთვიურად 11,552 მილიონ ლარს ხარჯავდა, რამაც წლის მანძილზე მილიარდ 338 ათას ლარს გადააჭარბა. თუ ამ რიცხვებს გავითვალისწინებთ და იმის დადგენას ვეცდებით, თუ რა ხარჯი ექნება ბიუჯეტს საპარლამენტო უმცირესობის მოთხოვნის იანვრიდან პენსიის 50 ლარით გაზრდის შემთხვევაში, ეს, დამატებით 418 მილიონ ლარზე მეტ თანხას მოითხოვს. იმ პირობებში, როცა

ნებისმიერი მომდევნო წლის ბიუჯეტის ფორმირება გაზაფხულიდან იწყება და მერე მთელი წლის მანძილზე გრძელდება, ახლა ამის გაკეთება – კერძოდ, რაღაც მუხლებსთვის თანხების მოკლება და ისევ სოციალურ „კალათაში“ გადატანა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მართალია, ძალიან ბევრი პენსიონერისთვის ასეთი მომატება, შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც ყოფილიყო, მაგრამ ძირითადი მასის ყოფას, არსებითად მიანც ვერ შეცვლიდა. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, ბიუროკრატიული აპარატის შრომის ანაზღაურების 4,4-პროცენტითაა ზრდა, რომელიც გაიხად მოხდება, ციფრულ გამოსახვაში დაახლოებით მხოლოდ 62 მილიონი ლარია, რაც პენსიების 50 ლართან გაზრდას აშკარად არ ყოფნის. სხვა საკითხია, რომ ხელისუფლება თავად არ უნდა უშვებდეს იმას, რომ სახელმწიფო აპარატის რიგითი ჩინოვნიკები პენსიონერებზე 8-10-ჯერ მეტ საშუალო ხელფასს იღებდნენ, მაღალი რანგის მონელებმა კი „ქაშრები არა ქაღალდზე, არამედ სინამდვილეში შემოიჭირონ“, მაგრამ ეს უკვე ზნეობრივი სფეროს თემაა, თუმცა კი არანაკლებ მნიშვნელოვანი.

სიტყვას მოყვა და აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სტრუქტურული გარდაქმნების აუცილებლობაზე, მათ შორის, დეპოზიტების დაზღვევის, კაპიტალის ბაზრის გაზრდის, ასევე საპენ-

სიო რეფორმის განხორციელების აუცილებლობაზე საუბარი ჰქონდათ ცოტა ხნის წინათ საქართველოში ორდღიან სამუშაო ვიზიტად მყოფი საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებსაც. ძირითადი განსახილველი საკითხი კი მომავალი წლის ეკონომიკური პოლიტიკის პარამეტრები იყო (კერძოდ, ალინიშნა, რომ საბიუჯეტო დეფიციტი 3 პროცენტზე მეტი არ უნდა იყოს).

ყოველივე ზემოთქმულიდან, ბევრ სხვა დასკვნასთან ერთად, სავსებით ნათელია, რომ დღესდღეობით ქვეყანაში მოქმედი საპენსიო სისტემა რეალობას არანაირად არ შეესაბამება და გამოდის, რომ სახელმწიფო მანქანა და მისი მომსახურე აპარატის პერსონალი ერთ რეალობაში არსებობს, პენსიონერები კი – სულ სხვაში. ამიტომაცაა, რომ ამდენი წელია, ქვეყანაში საპენსიო რეფორმის გატარებაზე ყველანი ლაპარაკობენ, ეს თემა პერმანენტულად (ჩვეულებრივ, წინასწარ ჩვენო პერიოდში) აქტიურდება ხოლმე, თუმცა მერე ყველაფერი ძველებურად რჩება. დღესდღეობით ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ახალი საპენსიო მოდელის შემუშავებაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საგანგებო ჯგუფი მუშაობს. ის, სავარაუდოდ, თითოეული მომუშავეს მიერ სანდაზმულობის პენსიის ინდივიდუალურ დაგროვებას გულისხმობს, ანუ საკუთარი სიბერის პირობების შექმნაზე ყველა თავისით იქნება პასუხისმგებელი – რაც მეტ თანხას შეიტანს გადასახადების სახით საპენსიო ფონდში, მით უფრო დიდი იქნება მისი პენსია.

ასეთი მიდგომა, თითქოს დღესდღეობით არსებულზე უფრო სამართლიანად ჩანს, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ თვალის ერთი გადავლევით. ბუნებრივია, რომ ის უფრო მეტად ისევ მაღალანაზღაურებად მაღალი რანგის ჩინოსნებისთვის იქნება ხელსაყრელი, ასევე სხვადასხვა მსხვილი და, გნებავთ, საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის, მომუშავეთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის კი, არსებითად, არაფერი შეიცვლება. თანაც, როგორი უნდა, იყოს ვთქვათ, იმ ხალხის პენსია, ვინც მიზეზითა გამო ემერს დასაქმდა (ვთქვათ, დიასახლისების)?.. როგორც ჩანს, მათ უზრუნველყოფაზე ისევ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, თანაც იმავე დონეზე, როგორც დაწარჩენი პენსიონერები იქნებიან. საამისოდ, კი, ისევე, როგორც მთელი მოსახლეობის ნორმალური ყოფისთვის, ისევ ეკონომიკის სწრაფი ტემპით განვითარებაა საჭირო, თუმცა კი ესეც უკვე სხვა მასალის თემაა.

ოთარ ტურაბელიძე

ალიან-ჩალიანი

ფსიქოლოგიური მონიტორინგი – ჯარისკაცებს

აზღვანეთის ისლამური რესპუბლიკიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს ფსიქოლოგიური შემოწმება ჩაუტარდა. სამშვიდობო მისიიდან დაბრუნებული ჯარისკაცების ფსიქოლოგიური მონიტორინგი პროექტის – „მხარი მხარს“ ფარგლებში სორციელდება.

„მტკიცე მხარდაჭერის“ მისიიდან დაბრუნებული 11 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის ნაკრები ასეულის ფსიქოლოგიური მონიტორინგი ბათუმში არსებულ ადგილის ბაზაზე განხორციელდა. საერთაშორისო მისიაში მყოფი ჯარისკაცების მონიტორინგი ფსიქოლოგიური შერჩევითა და მონიტორინგის დეპარტამენტმა აწარმოა. სამხედრო მოსახლესურების სკრინინგი ამერიკის შეერთებულ შტატებში კარგად აპრობირებული პროტოკოლის მიხედვით განხორციელდა. აღნიშნული სკრინინგი იძლევა საშუალებას, გამოვლინდეს პოსტტრავმული სტრესი ან რამე სხვა პრობლემა შემდგომი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

გაპარტიანდეთ სიღნაღში დამწვარი ისტორიული სახლის აღსადგენად!

სიღნაღში ამერიკელი ბიზნესმენის, მხატვარ ჯონ უფრედმანის კუთვნილი ისტორიული სახლის აღსადგენად საქველმოქმედო კამპანია იწვევა.

თიბისი ბანკში გახსნილია ანგარიში, რომელზეც ყველა მსურველს შეუძლია თანხის ჩარიცხვა.

ერეკლე მეორის დროინდელი, 580 კვმ ფართობის, სამსართულიანი შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებდა, 10 დეკემბერს გაჩენილი ხანძრის გამო, მთლიანად განადგურდა. ხანძარს მხოლოდ ქვედა სართულზე მდებარე მარანი გადაურჩა. დაიწვა ისტორიული ნივთები და ჯონ უფრედმანის ნახატები.

ქართულ მრავალმიანი ბუნებრივი უფრედმანი საქართველოში პირველად 1995 წელს ჩამოვიდა და უკვე 20 წელზე მეტია, ქართულს საქმეს ემსახურება. მის მიერ ქართული ჯიშის ქარაქისგან ტრადიციული მეთოდით დამზადებული ღვინო მსოფლიოს 20 ქვეყანაში გადის ექსპორტზე. მუდღეულსთან ერთად უფრედმანი ანსამბლ „ზედაშესაც“ ხელმძღვანელობს, რომელიც მივიწყებული სასიმღერო ტრადიციების გაცოცხლებას, უკვე წლებია, ცდილობს და ქართულ მრავალმიან მუსიკას მსოფლიოს აცნობს. აქვს ქართული რესტორანიც, რომელიც ქართველ და უცხოელ სტუმრებს ტრადიციული და მივიწყებული ქართული სამზარეულოთი უმასპინძლებდა.

ერთად აღვადგინოთ ისტორიული მემკვიდრეობა!

ინტერპოლუპი თბილისს ეწვივნენ

საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს წარმომადგენლები ეწვივნენ. ქართველ სამართალდამცველებსა და ინტერპოლის შორის წარმატებული თანამშრომლობის ფარგლებში, ინტერპოლის გენერალური სამდივნოს რადიოლოგიური/ბირთვული ტერორიზმის აღკვეთის განყოფილებაში, CBRNE-ს ქვედირექტორატის ქიმიური ასაფეთქებლებით ტერორიზმის აღკვეთის განყოფილებას (CMX TPU) და ინტერპოლის საზღვრების ინტეგრირებული მართვის სპეც-



ალურ ჯგუფთან (IBMTF) ერთად, 2016 წელს თბილისის აეროპორტში საცდელი ოპერაცია „CONDUIT“ დაგეგმა.

ვიზიტის ფარგლებში, საცდელი ოპერაციასთან დაკავშირებული საკითხების გადამწყვეტის მიზნით, ასევე გაიმართა საორგანიზაციო ჯგუფის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შს სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალური სამსახურებმა.


შეხვედრაზე, თბილისის აეროპორტის მაგალითზე, განიხილეს და შეისწავლეს ბიოქიმიური და ბირთვული ტერორიზმის საფრთხეებზე მუშაობის სპეციფიკა. ასევე, იმსჯელეს ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ სამომავლად ტრენინგების ჩატარების დასახელებული გამტარ პუნქტებში შესაბამისი აღჭურვილობის განთავსება-უზრუნველყოფის თაობაზე საქართველოსთვის დახმარების განხორციელების საკითხზე.

აპულეზის აკლემის რესტავრაცია დასრულებულია

აპულეზის ეკლესიას კომპანია „არემჯის“ ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით სრული რესტავრაცია ჩაუტარდა. კომპანია „არემჯის“ წარმომადგენლები, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მისენი ელიოტაძე, კულტურის მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და დამანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქიის წარმომადგენლები რესტავრირებულ ტაძარს ეწვივნენ.

დამანის-ბოლნისის ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე X-XI სს. დათარიღებული აბულმუგის ტაძარი ტიპური დარბაზული ეკლესიაა, რომელსაც იმ პერიოდის საქართველოში ნაგები ტაძრების ყველა ძირითადი მახასიათებელი გააჩნია. რეაბილიტირებულ ტაძარში დღეიდან წირვა-ლოცვის ჩატარება შესაძლებელი იქნება.

XO-306-360, გეოიანოში



„როგორც უფალს ვერ წაართმევ ქრისტიანს, საქართველოს ვერ წაართმევ ქართველს!“

ჯანსუღ ჩარკვიანი

სამართლებრივი სხვაობა პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ვაჟა, სიყვარულს!

ვაჟა, ზოროტემა გაქრება როდის, ან როდის წავლენ კაცები ქონდრის? სიყვარული თუ ღმერთიდან მოდის, მაშ, სიძულვილი საიდან მოდის?

სიძულვილია ჭკუიდან შეშლა, ცეცხლმოკიდებულს ჩამოჰკაფს შეშას, შო, გამახსენდა, არსებობს ეშმა, ეშმა, რომელმაც სიცოცხლე ვერ შვა.

გუზინდელი დღეც ხვალინდელს ერთვის, სიყვარულია ღმერთივით მკვეთრი, ვაჟა, სიყვარულს! – ის გახლავთ ერთი, დიახ, ერთია, ვითარცა ღმერთი!

ღრმ

როცა სიცოცხლე დაზაფრულია, მაშინ ზამთარიც გაზაფხულია. გაზაფხულს მარად ელის ზამთარი, ზამთარი თოვლით არის გამთზარი.



ცას ალამაზებს ორი ფერია, როცა ზამთარი თოვლისფერია. როგორც ვეფხვი და როგორც აფთარი, ლეგენდარული არის ზამთარი.

მერე, ბათხული და შემოდგომა, დრო ურემია – წყევლით მოგორავს. წარსული, აწმყო და მომავალი, მთავარი მზეა ამომავალი.

ლაპარაკი ჩაქრა

შენ მე უარმყოფ, ვაი შენს პატრონს, შენ შინაური მტერი გგონივარ. მე მარადიულ სიყვარულს ვნატრობ, ისიც არ იცი, რომ ჩვენ ორნი ვართ.

რაც შენში დარჩა, ეს არის რისხვა, ხალისი ახლავს სიტყვას გულიანს, დაიმახსოვრე სიტყვები ღვთისა, იცოდე, ღმერთი სიყვარულია!

ვიღაცა შიშობს, ვიღაცას უკვირს, ჩვენს შორის, უნდათ, წყალი აიმღვრეს, დიახ, გახლავარ გამყოფი ლუკმის, ლუკმაც არ მინდა, აჰა, წაიდე!

თურმე, მესიზმრა კუმბის ფიცარი,



ალბათ, მივდივარ, მივდივარ, რა ვქნა, რა ვქნა, ბოლომდე ვერ გაგიცანი, მანათობელი ლამპარი ჩაქრა!

აბსტრაქცია

ჩემმა ფიქრმა მეცხრე ცისკენ შემთვალა, მე მართო ვარ, შენ გგონია, შენთან ვარ. ჩემი ცრემლი სულ კამკამა ცრემლია, ჩემი ყანა ჩემს მტერს მოუცვლია.

მწუხარება ჩემში თუ იმალება, სითამამე არის იღუმალემა. მღელვარებას იწვევს ჭეშმარიტება, ასე მითხრეს წუხელ ეშმა გვრიტებმა.

როგორც წესი, არ ვარ წამყვან სიაში, დამიჯერე, მე ვარ ამსტრაქციაში. ნისლი ცისა ტანზე მითმო მაცვია, რომ შევივგრძნო ლექსის ინტონაცია.

ირბის

შენ ხარ ალვის ხე, მე კი – ჭადარი, შენა ხარ დარი, მე კი – ავღარი, მე მთვარისა და შენ მზის სადარი, სიყვარულია ცეცხლის ღაღარი. ჩემო ძვირფასო, ეგრე სად არი, სიყვარულისთვის ორივე მზად არი!

სრამელი

რაც წავიდა, მოვა როდის, თვით უფალმაც არ იცის, ცა ტირის თუ წვიმა მოდის, მიწის სევდას განიცდის.

როგორც სათიბს შველის ცელი და ჭადარი – თბილისს, შეუერთდა ჩემი ცრემლი ჩემივე ცის ტირილს.

ცის ცრემლია? – ის ჩემია, შორით ვეტრფი ცის ხმაურს, მე ტირილი მინჩენია ყველა დროის სიხარულს.

ძმა ძმის მტერი

რის მომავალი, რა მომავალი, შენს ცუდად ყოფნას ლამობს მრავალი, აწმყო ვისია, კაცმა არ იცის, რაც მიწაზეა, ისიც არის ცის.

ვინ იცის, ქართველს რა გზით უვლია, მიწაც აღარ გვაქვს, გაყიდულია, მიგნიდან ამსხვრევს ძვალს მისტერია,



გაიგეთ, ხალხო, ძმა ძმის მტერია!

სიყვარული

მისი წყალი მწყურვალს ერგოს, ისიც, ვის რა ახარებს, სიყვარული თუ არსებობს, მოგახსენებთ ახლავე... გულში ყველას თავის მზე ჰყავს, გეტყვით სიტყვას გულიანს, სიყვარული არის ქვეყნად, ღმერთი სიყვარულია!

პარადოქსი

მე არასოდეს ნიჰილიზმი არა მქონია, რაიც ჩემშია, ყველა ცაში ანაქროლია, არა ვყოფილვარ თვითნებური, არცა მოძულე. ვისიც მჯეროდა, მე ვიყავი იმის მოწმუნე.

მე ვერ ვიტანდი მეტლისებს და ქირით თამადას, სამოში ყველას სიყვარული გვექონდა თანაზრად! მე ვიყავ მარად მხოლოდ ჩემი თავის მფლობელი, მიზანდასახულს მყავდა ჩემი მიზნის მშობელი.

ვინც მიღალატა, ყველა მტერი კართან მომვლია, აბა, რას ვიზამთ, ყველაფერი პარადოქსია!

ბახროვანს მოსაპარი

შენი ცხოვრება რთულია, რთული, გწამდეს, მთავარი არის მამული, შენ ზოროტემა ატარებ გულით, შენგან შორსაა გზა სიყვარულის.

მარადისა ვართ პირთან სამარის, მე ვამბობ მარად სიტყვას გულიანს, უნდა გახსოვდეს, რაა მთავარი, მთავარი ძმათა სიყვარულია!

„ჩაქრული“

ციდან ყვერის „ჩაქრული“, ვაჟ, ქართველო ჩაქრული, გული სევდით გართულა, აღარ ვმდერით ქართულად.

ჩვენზე კარგი სიმღერა ვისი ციდან იღვრება? სულ სხვის გულში ჩაკლული, გაიხსენე „ჩაქრული“.

ქუთაისი

სიყვარულს ჰგავს ეგ შენი ცა კრიალა, დალოცვილი, ალბათ, უფალს თუ ჰყავდი. ქუთაისო, მართო ჯანსუღს კი არა, ჩემს საყვარელ დიდ აკაკის უყვარდი.

სიყვარული არის განა იოლი, ანდა, ვინმე უფრო კარგს რას გეტყოდა, შენ გეტყვოდა დიდი გალაკტიონი, გალაკტიონს შენი გული ეტრფოდა!

სიყვარულით სად მივიდე, კიდევ სად,

რაც შენ გიყვარს, გულთან მარად მიმაქვს ის, ჯაჭვის ხილით მივალ ბაღის კიდესთან, ვადღეგრძელებ ჩემს საყვარელ ქუთაისს!

ფიქრი

იმ ჟამიდან ამ ჟამს ფიქრები ცისკენ მიჰქრიათ, ნისლი ფიქრად აქვს ვაჟას, ვაჟა კი ჩემი ფიქრია!

ფიქრში ვითომდა ლორდი ვარ, უპირატესი თავნებით, ვის წიაღიდან მოვდივარ, ან საით მივექვანები.

ფიქრით ვარ პირთან სამარის, ფიქრიც ფიქრებით მიმზერდა, აქაც ფიქრია მთავარი, ფიქრი არ ფიქრობს ფიქრებად.

ნეტავი, ვის რა ელინსა, ან ფიქრნი საით მიჰქრიათ, „ნისლი ფიქრია მთებისა“, ნეტა, მთა ვისი ფიქრია?

უფალო!

გეფიცები, ამას ვამბობ ხშირად, დარჩენილი უმზეოდ და უმთვაროდ, ნუ შემიყვან განსაცდელსა შინა და სიხარულით შემიწყნარე, უფალო!



რასაც ვამბობ, სიყვარულით მე ვწერ და ღმერთმა იცის, სად თოვდა და წვიმა სად, მომივლინე მაღლი ჩემდა შემწედა, მე ვადიდებ სახელს შენსა წმინდასა!

ფურცლის ღირსი ხარ!..

ძმა ძმისა მტრობით სავსეა, ვმათხოვრობთ კართთ კარამდის, ასე ვიყავით, ასე ვართ, ასე ვიქნებით მარადის.

თვალს ცრემლი დაგვდის რაკრაკით, ავად ვართ, აღარ ვჯანმრთელობთ, რაც გვითხრა დიდმა აკაკიმ, იმის ღირსი ხარ, ქართველო!

ბუნება

ჩემი მცხეთა არმაზით მუდამ მგებულბულებმა, ბუნებაზე ლამაზი არის მხოლოდ ბუნება.



ჩემი ფიქრიც აქვე მყავს, ფიქრო, შენ არ გამცლიხარ, მთავარია ამქვეყნად, რა ბუნების კაცი ხარ!

მონა

მეცხრე ციდან არ მოვფრინავ, სევდა მიწის გამყოლია, ვინმეს მონა არ ვყოფილვარ და არც მონა არ მყოლია.

დღეს უკეთეს ვერ მონახავ, ნუ ედრები ვეშაპს ზღვისას, თუ მონა გყავს, შენც მონა ხარ, მონა გახლავთ ეშმაკისა!

მეტად საინტერესო და კომპლექსური ნიშნი სტალინზე

ამ დღეებში მოსკოვის გამომცემლობა „იაუზ-პრესმა“ გამოსცა ევგენი ჯულაშვილის წიგნი პაპაჩაივი სტალინი. „ის წმინდანი“.

წიგნის მოკლე დახასიათებაში სატიტულო ყდაზე ნათქვამია: „ი.ბ.სტალინის რვა შვილიშვილიდან ევგენი ჯულაშვილი არის თავისი დიდი პაპის ერთადერთი თანამოაზრე და სულიერი მემკვიდრე. და ეს წიგნიც არა უბრალოდ სენსაციური მემუარებია, რომელიც შუქს ფენს კრემლისა და ოჯახურ საიდუმლოებებს. ეს არის ხარკი ბელადის მარადიული ხსოვნისა და გამარჯვებული ეპოქის წინაშე.“

რატომ დაინახა შვილიშვილმა პაპა პირველად მავზოლეუმის ტრიბუნაზე, მეორედ კი – უკვე კუბოში? იცით თუ არა, რომ სტალინის სიკვდილის შემდეგ მის საშემწავლო წიგნაკვზე აღმოაჩინეს მხოლოდ 30 ათასი მანეთი (შედაწერისთვის: მაშინ ყველაზე იაფი ავტომობილი 8000 ლირდა). რატომაც ავტორი დარწმუნებულია, რომ მამამისი იაკობ ჯულაშვილი ტყვედ კი არ ჩაბარდა, არამედ ბრძოლაში დაიღუპა? სიმართლეა განა, რომ უკუკოვი არის დამნაშავე 1941 წლის კატასტროფაში და როგორც მთავარი შეთქმული „დახვრეტის ღირსია“? თუ „უკრაინის მათამა“ სრულყოფილი მეთაურობით როგორ მოკლა ბერია, „წყველმა კასტამ“ კი ცილი დასწამა ბელადს? ვის მიმართ იყო ნათქვამი სტალინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „მე ვიცი, რომ სიკვდილის შემდეგ მრავალ ჭურჭელს მომავრიან თავზე, მაგრამ ისტორიის ქარი ყოველივე ამას გაფანტავს“? როგორ გადააყენეს მარშალი როკოსოვსკი, რომელმაც სრულყოფილი ანტისტალინური კამპანიის დროს მიახალა: „იოსებ პეტსარიონის ძე ჩემთვის წმინდანია!“ და რაშია პუტინის მთავარი სიცრუე?

ამ თამამ წიგნს არ ეშინია უპასუხოს ყველაზე აკრძალულ და საშიშ შეკითხვებს. ჩვენი გაზაფხულის მკითხველს სთავაზობს ამოწმარაღებს ამ წიგნიდან.

ი. მუსხინის წინასიტყვაობა

მე ვეხმარებოდი (ტექნიკურად) ევგენი იაკობის ძე ჯულაშვილს ამ წიგნთან დაკავშირებით. ვინაიდან თითქმის 15 წლის განმავლობაში მე ვიყავი გაზეთის მთავარი რედაქტორი და გავასწორე უამრავი ხელნაწერი, რასაკვირველია, მინდოდა, როგორღაც გამეუმჯობესებინა ევგენი იაკობის ძე ჯულაშვილის ხელნაწერი. მით უმეტეს, რომ ის და მე ვართ მეგობრები ბრძოლაში, განსაკუთრებით მინდოდა, გამეუმჯობესებინა თავები, რომლებიც პოლიტიკური საკითხების ხედვას შეეხებოდა, თუმცა მე თავი შემაკავებინა შემდეგმა რამემ.

ი.ბ. სტალინის რვა შვილიშვილიდან ე. ჯულაშვილი მისი ერთადერთი სრულფასოვანი შვილიშვილია, ვინაიდან ის სტალინის არა მხოლოდ ერთადერთი თანამოაზრე შვილიშვილია, არამედ უკომპრომისოდ იბრძვის სტალინის იდეალებისათვის, მაგალითად.

„2013 წლის 3 აპრილს, 22:00 საათზე სტალინის შვილიშვილმა ევგენი ჯულაშვილმა აღმოაჩინა, რომ მის ბინაში შესასვლელი კარი გატეხილია. სასტუმრო ოთახის იატაკზე უნესრიგოდ იყო მიმოყრილი მიგლეჯილ-მოგლეჯილი მუყაოს საქაღალდეები ჯულაშვილის ოჯახის არქივის მასალებით. დოკუმენტების ნაწილი გაქრა. ბინიდან ასევე მოიპარეს სამუშაო კომპიუტერი, სხვა ელექტრონული ტექნიკა, აგრეთვე ბინაში არსებული ფული და ძვირფასი ნივთები წაღებული არ იყო. ცხადია, რომ ქურდების მიზანი იყო ინფორმაცია, რომელიც ინახებოდა კომპიუტერის მესხიერებაში და ცალკეული საარქივო დოკუმენტები. „კატინის სიმართლის“ ექსპერტები ბინის გატეხვას, სამუშაო კომპიუტერისა და ჯულაშვილის საარქივო დოკუმენტების მოპარვას უკავშირებენ მის აქტიურ მოღვაწეობას ი.ბ. სტალინის პატიოსნებისა და ღირსების დაცვისთვის. უნინარეს ყოვლისა, 2013 წლის 26 მარტს წამოწყებულ მცდელობას, შინაგან საქმეთა განყოფილებაში აღძრულიყო „ხოვრინოს“ სისხლის სამართლის საქმე ცილისწამებისათვის სტალინის თითქოსდა მონაწილეობის შესახებ კატინის დახვრეტაში“, – გვაცნობენ ინტერნეტმა და მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთმა საშუალებამ. ჩემი მხრიდან დაუშვებელია, რომ არ წაულიათ მაგიდაში არსებული 10 ათასი მანეთი და თვალსაჩინო ადგილზე მდგარი არყისა და კონიაკის ბოთლები. ეტყობა, ასეთი იყო უფროსის ბრძანება – ფასეულობებს და სპირტიან სასმელებს ხელი არ ახლოთო!

უნდა ითქვას, რომ „დამტაცებლები“ გასაოცრად დიდად არ იჩენდნენ „გაუმადლობას“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავი ვერ შეიკავეს და სტალინის შვილიშვილს მოპარეს ბურღიც.

და გამახსენდა ასეთი მომენტი. უკანასკნელ წლებში ძალიან ხშირად მიბარებდნენ ხოლმე უშიშროების ფედერალურ სამსახურში, დაკითხვას კი აწარმოებდა კაბინეტში არა ორი, არამედ ზოგჯერ სამი თანამშრომელიც კი. ერთი-ორჯერ კი გამოძიებლის თანაშემწეები ამ დროს კერავდნენ მორიგ გაყალბებულ საქმეებს ტომებად. თითოეული ტომი დაახლოებით 250 ფურცელი იყო, ასეთ კონას მახათით ვერ გახვრიტავდი, ეს არარეალურია, და ეს საბრალოები მიდიოდნენ სხვა განყოფილებებში და ეძებდნენ ბურღს, რათა გაეხვრიტათ კონები და გაეყარათ მათში ზონარი. როგორც ჩანს, მათ მთელ სამმართველოში მხოლოდ ერთი ბურღი ჰქონდათ.

და აი, სტალინის შვილიშვილს კომპიუტერთან და დოკუმენტებთან ერთად დაეკარგა ბურღიც... არ გინდოდა! ფული და სასმელი, რომლებიც პრაქტიკულად თვალსაჩინო ადგილზე იყო, არ წაიღეს, ბურღი კი კარადის სიღრმეში წახეს. ვინ შეიძლება ეს ყოფილიყო? დამნაშავეები, გასაგებია, მილიციამ ვერ იპოვა. თქვენ ძალიან გაცოცხებთ, რომ ვერ წახეს?

ასე რომ, ე.ი. ჯულაშვილი რომ სტალინის შვილიშვილია, ეჭვი არაა.

ამიტომ სტალინის შვილიშვილის შეხედულებები, ისიც კი, თუ, კერძოდ, რას მიაქცია ყურადღება ევგენი ჯულაშვილმა და გადაწყვიტა, აღწერა თავის

ევგენი ჯულაშვილი


პაპაჩაივი სტალინი. „ის წმინდანი“

მოგონებებში ის, რაც დაამახსოვრდა, უკვე ისტორიული ფაქტია. და მეც ვერ გაგებდე, მომეხდინა ამ ფაქტების კორექტირება.

ხომ საინტერესოა, ვივარაუდოთ, როგორი შეიძლება ყოფილიყო იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი (სტალინი) და როგორ ცხოვრებას გაივლიდა ის, ცხოვრების ორომტრიალს რომ არ აქედლებინა, გამხდარიყო ხალხის ბელადი (ხაზგასმით აღვნიშნავ – მას არ სწყუროდა, გამხდარიყო ხალხის ბელადი: 1927 წლამდე). და სტალინმა სამჯერ თქვა უარი ამ ტვირთზე, მაგრამ დაემორჩილა ამხანაგების მოთხოვნას (განსაკუთრებით დაბეჯითებით ამბობდა სტალინი უარს ბელადის თანამდებობაზე 1927 წლის პლენუმზე). და ი. სტალინი გახდა ბელადი. დიდი ბელადი და დიდი ბელადის ხელმძღვანელობით ხალხიც იყო დიდი. „როგორიცაა მღვდელი, ისეთივეა მრევლიც“.

არ ვისაუბრებ, რაზეა წიგნი – თავად წაიკითხავთ. მაგრამ მე წავიკითხე და გადავთვალე რე სხვადასხვა მოღვაწეების ბევრი მემუარი, მათ შორის მცირე მასშტაბისაც („დიდებულებისათვის“ მემუარებს წერენ სხვა ადამიანები, და დიდებულებიც უბრალოდ კი არ იხსენებენ, არამედ თავს იმართლებენ და ძალიანაც ცრუობენ ხოლმე, რათა თავი მომგებიანად წარმოაჩინონ). უფრო პატარა მემუარისტებიც იმასვე აკეთებენ, მაგრამ ცრუობენ უფრო მცირედ – ჩვეულებრივად, იგონებენ უმთავრესად იმას, თუ რა ახლოს იყვნენ თავისი დროის დიდ პერსონებთან, და როგორ „თავმდაბლურად“ ცხოვრობდნენ – ჭამდნენ ტკბილად და სარგებლობდნენ სიკეთით, რაც ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის მიუწვდომელია. ან პირიქით – როგორ იტანჯებოდნენ იმის გამო, რომ მათ აწყენინებდნენ ხოლმე დიდი პერსონები, და მათ არ შეეძლოთ, ეჭამათ ტკბილად. ამიტომ მე დავწერ რამდენიმე საერთო მომენტის შესახებ, რომელიც მკითხველს შეიძლება მხედველობიდან გამოორჩეს.

ევგენი ჯულაშვილი, უეჭველია, თავისი დროის ბევრ სახელისუფლო პერსონას შეხვედრია, მაგრამ, როგორც დაინახავთ, აუცილებლად მიიჩნია, გაეხსენებინა მხოლოდ ორი – ერთი იმიტომ, რომ მან არ გაყიდა სტალინი, მეორე კი იმიტომ, რომ მან იგი გაყიდა. მაგრამ, სამაგიეროდ, როგორი სიყვარულით იხსენებს თავის მეგობრებს, მათი დამზადების ხერხს, წარმომავლობის რაიონებს, მაგრამ თქვენ მაინც ვერ გაიგებთ, კერძოდ, რომელი ღვინო მოსწონდა მას, ან უყვარდა კი ისინი. საინტერესოა, რომ მხოლოდ ერთხელ, როდესაც ის ყურადღებას აქცევს საქმლის გემოს, მკითხველს ურჩევს ხაშს – ყველაზე იაფ კერძს, როგორც კი შეიძლება მოიფიქრო. ასეთი მდგომარეობა საკმაოდ საწყენი უნდა იყოს მასპინ-



მთავარი და არა მათი ეროვნება. ჩემს მეგობრებს შორის, ახლობლებსა და არც ძალიან ახლობლებს შორის, იყვნენ გერმანელებიც, ებრაელებიც, ყაზახებიც, ინგუშებიც, აი, ქართველები კი არ ყოფილან – ასე მოხდა. მათთან ერთად ნორმალურ მაგიდასთანაც არ ვმჯდარვარ. იქნებ ამიტომ დამამახსოვრდა ქართველთან სუფრაზე ჯდომის ერთადერთი შემთხვევა.

სადაც 1987 წელს ჩვენმა სამინისტრომ გასცა განკარგულება, მოენყობა კომუნალური ნაწილისა და ტრანსპორტის საკითხების დირექტორების მოადგილეთა თათბირი. ჩვენ, საბჭოთა კავშირის ათი ფროშენადნობთა სანარმოს დირექტორების მოადგილეები, შევიკრიბეთ ჩელიაბინსკის ელექტრომეტალურგიურ კომბინატში. თათბირის შემდეგ ჩვენმა კოლექტივმა (კომბინატის დირექტორის მოადგილემ) ყველა ნავიყვანა ტყეში, კომბინატის დასვენების ბაზაზე აბანოში. ვნეტარებდით ორთქლში, ვსრიალებდით და ვგორაობდით თოვლის ნამქერებში – იყო ზამთარი და კომპანიაც მხოლოდ მამაკაცებისა იყო. შემდეგ, თავისთავად, იყო სმაც და შექვიფიანებულ მამაკაცების ჩვეულებრივი საუბრებიც. რასაკვირველია, ლაპარაკობდნენ ძირითადად ასაკით უფროსები. მე 38 წლისა ვიყავი, თუმცა, ყველაზე უმცროსი არ ვყოფილივარ, ვინაიდან ჩვენს შორის ერთადერთი ქართველი – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორის მოადგილე კომერციულ ნაწილში – 30-ზე ოდნავ მეტისა იყო. ასე რომ, ის და მე, ძირითადად ვუსმენდით. და აი, უფროსებმა,

© ევროპა, ამერიკა, რუსეთი...

ევრაზიული სივრცისკენ ჩვენი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იცქირება

პუტინმა ბრიუსელი საქართველოსთან „სავიზო კონკრეტული“ გააოიფიცია

მოსკოვი მზად არის, გააუქმოს სავიზო რეჟიმი საქართველოსთან. 17 დეკემბერს პრესკონფერენციაზე გაკეთებული ეს მოულოდნელი განცხადებაც საქართველოს იყო იმისთვის, რომ ვლადიმერ პუტინს საქართველოს ხელისუფლების გული მოეგო.

რუსეთის „რბილი ძალის“ დემონსტრირება

რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემსუბუქების საკითხს რომ განიხილავდა, ეს ჯერ კიდევ აბაშიძე-კარაგაძის პრემიერის ბოლო, 19 ნოემბრის, შესვლამდე გახდა ცნობილი.

„მოსკოვი ფიქრობს ამ სავიზო რეჟიმის შერბილებას გარკვეული კატეგორიის საქართველოს მოქალაქეებისათვის, ანუ მოსხსნაზე საუბარი არ არის, სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე, მაგრამ შერბილებაზე საუბარია და დღეს დადასტურდა, რომ რუსეთის მხარე ინტენსიურად მუშაობს იმაზე, რომ ეს შერბილებული რეჟიმი უახლოეს ხანებში ამოქმედდეს.“

თუმცა, თუ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ მოსკოვი მხოლოდ საქართველოს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის იყო მზად სავიზო რეჟიმის გასაუქმებლად, ამჯერად რუსეთი, როგორც ჩანს, საქართველოსთან სავიზო რეჟიმის სრული გაუქმების საკითხსაც განიხილავს.



პუტინს, როგორც ერთპიროვნულ მმართველს, რომლის ნებასაც უსიტყვოდ ემორჩილება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებამ, არ გაუჭირდება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების საკითხის სწრაფად გადაწყვეტა, მით უფრო, რომ კრემლის ლიდერს ყველა მიზეზი აქვს, რომ იჩქაროს: ევროკავშირმა უკვე გადაწყვიტა საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის შემსუბუქება.

„აღბათ, რუსეთი გააგრძელებდა ამ გეზს, რომ არა ევროკავშირის ასეთი მზაობა იმისათვის, რომ საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეიყვანოს ძალაში, რომელიც, აღბათ, 2016 წელს განხორციელდება და ჩვენ გვეჩვენება უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან.“

საქართველო მოსკოვ-ბრიუსელის სავიზო კონკრეტული

ნიშანდობლივია, რომ ვლადიმერ პუტინის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებულ განცხადებას მალევე მოჰყვა საქართველოს პრემიერ-მინისტრის წერილობითი რეაქცია, რაც მთავრობის ადმინისტრაციამ გააგრძელა. ირაკლი ლარიბაშვილმა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი უწოდა ვლადიმერ პუტინის განცხადებას, გაიხსენა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 2011 წელს გააუქმა სავიზო მოთხოვნა რუსეთის მოქალაქეებისთვის, ხოლო მიმდინარე წელს თბილისი კიდევ უფრო შორს წავიდა და გაახანგრძლივა საქართველოში მათი შესაძლო ყოფნის პერიოდი.

„მიუხედავად საქართველოსა და რუსეთის შორის არსებული პრინციპული ხასიათის უთანხმოებებისა, მათ შორის, 2008 წლის ომის გამოწვევებზე მიზეზებთან და მის შედეგებთან დაკავშირებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩვენ შევქმელით ვაჭრობის, სატრანსპორტო და პუმანიტარული სფეროებში გარკვეული ნაბიჯები გადავდგამდით. მზად ვართ, გაგაგრძელოთ არჩეული პრაგმატული კურსი რუსეთთან მიმართებაში და რუსეთის მხრიდანაც ველით ანალოგიურ მიდგომას“, - ნათქვამია ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებაში.

იქვე პრემიერ-მინისტრი აუცილებლად მიიჩნევს, კიდევ ერთხელ გაუსვას ხაზი ევროპასთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მნიშვნელობას და აცხადებს, რომ „უახლოეს დღეებში ველით ევროკავშირის გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიზირებული საკითხთან დაკავშირებით, რაც ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება.“

ამასვე ელიან საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ნაწილს დაპირებებმა იმედი გაუცრუა. ეს იმედგაცრუება აისახა ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ერთ-ერთ ბოლო კვლევაში, რომლის თანახმად, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, 17 პროცენტული პუნქტით, 61 %-მდე დაეცა საქართველოში გამოკითხული იმ რესპონდენტების რაოდენობა, ვისთვისაც მისაღებია მთავრობის გადადგმული მიზანი, საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.

მსიჯი ევრაზიული გაერთიანების მომხრეებისათვის

დბ მართლაც, თუკი საქმე მოსკოვსა და ბრიუსელს შორის კონკურენციაშია, მაშინ ასევე სარწმუნოა, რომ მოსკოვი, სავარაუდოდ, სავიზო რეჟიმის გაუქმების გადაწყვეტილებას 2016 წლის დასაწყისში მიიღებს, რათა ამ ნაბიჯით გააძლიეროს საქართველოში ევრაზიული გაერთიანების მომხრეები, რომელთა რაოდენობა, ერთ-ერთი ბოლო გამოკითხვის თანახმად, 30 %-ზე ცოტა მეტია.

„ამ კომპონენტში, ამ თვალსაზრისით, ასე მგონია, რომ რუსეთი, პირიქით, უარეს შედეგს მიიღებს. და, რა თქმა უნდა, ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეებისათვის, აღბათ, ეს მაინც დადებითია. იმიტომ რომ, ეს მოქალაქეებისთვის მოსხსნის რუსეთთან ურთიერთობაში არსებულ ბევრ პირად პრაქტიკულ პრობლემას“, - ამბობს კახა გოგოლაშვილი, „ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი.

მაგრამ „პრაქტიკული პრობლემები“ ასევე ბევრი აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირთან ურთიერთობაშიც. ამიტომ ასეთ ვითარებაში ვლადიმერ პუტინის განცხადება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმების თაობაზე ბრიუსელსაც უბიძგებს სწრაფი და არაორაზროვანი გადაწყვეტილებისაკენ და ეს არა მხოლოდ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზებას შეეხება, არამედ ევროპული ფასეულობების გაძლიერებას კავშირის აღმოსავლეთ ფლანგზე და, განსაკუთრებით, საქართველოში, სადაც ევრაზიული სივრცისაკენ უკვე მოსახლეობის ერთი მესამედი იცქირება.

კითხვას, „უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს ევრაზიულ კავშირში განეკრიანებას“, 31 %-მა დადებითად უპასუხა, რაც 2015 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შემდეგ უცვლელი მონაცემია, ხოლო 46 %-მა უარყოფითი პასუხი გასცა, რაც ოთხი თვის ადრე არსებულ მაჩვენებელს 5 პროცენტული პუნქტით აღემატება, ნათქვამია აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ დაკვეთილ კვლევაში, რომელიც კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ივლის-აგვისტოში ჩაატარა.

კომპა ლიკლიპაძე, რაიფი „თამისუფლაკა“

დედამინის ზურგზე



აიკულთ ისინი რომ, იუზაოვ: მომხარაბლები აღფრთოხალი არიან დანიის გეგმით - ფული და ღირებულება ჩამოართვას ლტოლვილებს

კანონპროექტი, რომელიც ნებას რთავს, მოახდინონ მიგრანტებისათვის ფასიანი დანაშოგების კონფისკაცია ქვეყანაში მათი ყოფნის ანაზღაურების ანგარიშზე, ჯერჯერობით მხოლოდ განიხილება. მიუხედავად ამისა, მთელი რიგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობების შემდეგ, ამან ინტერ-გამომცემებელთა გაუგებრობის ტალღა გამოიწვია, რომლებმაც ინიციატივის ავტორები ნაცისტური გერმანიის მოღვაწეებს შეადარეს.

უაიკონი უნივერსიტეტის ლაბორატორიაში აუთომატური სხვაგონის ანალიზი: ერთი ქაიი დაიღწევა

ცინზუს უნივერსიტეტში საგანგებო შემთხვევის მიზეზი დადგინილი არაა. ერთ-ერთმა სტუდენტმა გოგონამ ისაუბრა, რომ ხანძრის ჩაქრობის დროს ლაბორატორიაში გაისმა ხელმეორე აფეთქების ხმა. გაზუთი „ჟენმინ ჟიბაო“ აქვეყნებს ფოტოგრაფიას მომხდარის ადგილიდან.



NYT იტყობინება ისლანდია სახელმწიფოს ყველაზე დიდი შტაქაქის შესახებ პრაქში 5 თვის განმავლობაში

ოთხშაბათს ღამით, 16 დეკემბერს, ისლანდიური სახელმწიფოს ბოვეიკებმა განახორციელეს ოპერაცია სამი მიმართულებით ერაყის ქალაქ მოსულის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში. შესაძლებელია, ტერორისტებს ამით სურდათ, ეჩვენებინათ თავიანთი ძალა, მიუხედავად მათი წარუმატებლობისა ერაყის ქალაქ სინჯარში და სირიაში. ან ისლანდიური სახელმწიფო აპირებდა, ჩაეშალა საერთაშორისო კოალიციის მომზადება მოსულის დაბრუნებისათვის შესაძლო ბრძოლაში.

ტრაგია მოხილულია თაქის შესახებ უაიკონის სიყვავით

„ეს ყოველთვის დიდი პატივია - მიიღო კომპლიმენტი ადამიანისაგან, რომელსაც ასე აფასებენ თავის ქვეყანაში და უცხოეთში“, - განაცხადა საპრეზიდენტო რბოლის ფავორიტმა რესპუბლიკური პარტიისაგან, როდესაც კომენტარს უკეთებდა ეპითეტებს, რითაც იგი რუსეთის ლიდერმა დააჯილდოვა.

რუსეთმა დასავლეთს აპრემონია, რომ არ არის ასაღის გაღადგომის ნინაღმეზი, იტყობინება რიბარია

როგორც მაღალი რანგის დიპლომატიმა განაცხადა ანონიმურობის პირობებით, „რუსები კერძო საუბრებში ამბობენ, რომ დაეთანხმებიან ასადის წასვლას გარდამავალი პერიოდის ბოლოს“. მაგრამ ჯერ-ჯერობით ისინი არ არიან მზად, განაცხადონ ამის შესახებ საჯაროდ, - დაუმატა წყარომ. რამდენიმე ჩინოვნიკმა დასავლეთის ქვეყნებიდან დაადასტურეს მისი შენიშვნა.

გაეროს უშიშროების საბჭომ მხარი დაუჭირა რუსეთ-ამერიკის რაზოლუნიას ისლანდია სახელმწიფოს უინანოკაბასთან ბრძოლის შესახებ

საბჭომ ერთსულოვნად მიიღო კომპლექსური რეზოლუცია, რომელიც აიძულებს ქვეყნებს, შეწყვიტონ დაფინანსება და რაიმე ნებისმიერი დახმარების განწევა ისლანდიური სახელმწიფოსა და „აღფიდას“ ტერორისტული დაჯგუფებებისთვის.

რამზი

ნოემბრის ტესტების პრე-პრეტი მატჩი ცნობილია



2016 წლის ნოემბრის ტესტების ერთ-ერთი მატჩი ცნობილია. მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნების“ კარგმა თამაშმა და რაგბის კავშირის დაუღალავმა შრომამ პირველი დივიდენდი მოგვცა – 26 ნოემბერს გასვლაზე შოტლანდიას ვეთამაშებთ.

სავარაუდოდ, სარაგბო სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბიტი მარიფილდზე ერიცხებიან. შოტლანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელი ოფიცრის დომინიკ მაქქეის განცხადებით: „გვიხარია, რომ ნოემბერში ძალიან საინტერესო მატჩები გველის – ავსტრალიისა და არგენტინის წინააღმდეგ, ხოლო სერიის ბოლო ისტორიულ მატჩში შოტლანდიაში საქართველო გვესტუმრება. საქართველომ 2015 წლის მსოფლიო თასზე არნახულად

იასპარეზა, რითაც ათასობით ახალი ქომაგი შეიძინა. ტონგისა და ნამიბიის ძლევით საუკეთესო 12-ეულში შევიდა და 2019 წლის მსოფლიო თასზე ავტომატურად გავიდა. დარწმუნებული ვარ, რომ მათ ამ ისტორიულ ტესტზე საკადრისად ვუმასპინძლებთ.“

მეტი მატჩი პირველი დონის ქვეყნების წინააღმდეგ – ეს არის ქართული რაგბის შემდგომი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა. 2013 წელს არგენტინისა და 2014-ში ირლანდიის შემდეგ შოტლანდია რიგით მესამე პირველი დონის გუნდია, რომელსაც მსოფლიო თასის გარეთ ვხვდებით.

მილტონ ჰეიგი ძველ მეგობარს ერიცხება: „ეს ფანტასტიკური შენაძრელობა საქართველოს ნაკრებისთვის ისეთ მატჩებს ვეთამაშოთ, როგორც შოტლანდია, განსაკუთრებით კი ისეთ საოცარ სტადიონზე, როგორც მარიფილდია! მადლობას ვუხდით შოტლანდიის რაგბის კავშირს 2016 წლის ნოემბრის ტესტებზე ჩვენი მასპინძლობისთვის, რადგან ასეთი მატჩები უპირატესად ხელს უწყობს ჩვენი რაგბის განვითარებას.“

გარდა ამისა, ეს ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მომიწევს ჩემი მეგობრის ვერნ ქოთერის მატჩებში, ვისთან ერთადაც თავის დროზე სამწვრთნელო კარიერა დავიწყე.“

ამრიგად, საგაიხად სერიის ბოლო მატჩი ცნობილია, ხოლო თუ ვინ და სად ეთამაშება „ბორჯღალოსნებს“ 12 და 19 ნოემბერს, უახლოეს მომავალში გაირკვევა.

ბიურჯი ბიურჯაძე

ფოტოზე შემორჩენილი ახალგაზრდობა



სერგო შუღრას ოჯახი ბაკურიანში. 1949 წელი. მოგვანოდა ომარ შუღრამ

კალათბურთი

„ჯგეროსები“ – უმელო ეტაპზე

თორნიკე შინაველიძის „ლაბორალ კუჩამ“ ვეროლიგის B ჯგუფში თამაში 6 მოგებით და 4 მარცხით დაასრულა, რაც იმის გარანტიას, რომ შემდეგ ეტაპზე იასპარეზებს.

ბოლო ტურის წინ სტამბოლის „დარუშაფაკა“ 1 ქულით უსწრებდა თელ-ავივის „მაკაბის“. ებრანულ გუნდს მხოლოდ გამარჯვება

ქართველი კალათბურთელის დიდი დახმარებით ბასკურმა კლუბმა ზაგურების „ცედევიტა“ 92:70 გაანადგურა და ტურის სხვა მატჩების დასრულებამდე ჯგუფში მე-2 ადგილზე გაიმყარდა. შენგელიამ მოედანზე 20 წუთი დაჰყო და 16 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა, „თოკომ“ 4-დან 1 ორქულიანი, 5-დან 4 სამქულიანი და 2-ვე საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.



ქართველ ფორვარდზე შედეგიანები მხოლოდ ფრანგი ფაბიენ კოსიე (20 ქულა, 6 მოხსნა) და ბერძენი იანის ბურუსისი (17 ქულა, 10 მოხსნა) იყვნენ, „ცედევიტას“ კი 12 ქულით მარკო არაპო-ვიჩმა უღიდერა. რაც შეეხება ჯეიკობ პულენს, რომელიც გასულ ევრობასკეტზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა, მან 21 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

ხელს არ აძლევდა, რადგან პირველ წრის მატჩი მარკოიშვილის გუნდთან შინ 73:84 ჰქონდა წაგებული, და შესაბამისად, ეს სხვაობა ჰქონდა გასაბათილებელი.

ქართველი ფორვარდზე შედეგიანები მხოლოდ ფრანგი ფაბიენ კოსიე (20 ქულა, 6 მოხსნა) და ბერძენი იანის ბურუსისი (17 ქულა, 10 მოხსნა) იყვნენ, „ცედევიტას“ კი 12 ქულით მარკო არაპო-ვიჩმა უღიდერა. რაც შეეხება ჯეიკობ პულენს, რომელიც გასულ ევრობასკეტზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა, მან 21 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

თელ-ავიველებმა ეს ვერ მოახერხეს და როცა გაირკვა, რომ 10 ქულაზე მეტით ვერ იმარჯვებდნენ, სტუმრებმა ვერლაფერი გააკეთეს, რომ შესვენებაში დამატებითი დრო დანიშნულიყო, თუმცა, ფრე ვერ დასვეს. ბოლო წუთები კურდღიული გამოდგა – დარუშაფაკელები საჯარიმოებს არ აგდებდნენ, ანგარიში რომ არ გათანაბრებულიყო.

ქართველი ფორვარდზე შედეგიანები მხოლოდ ფრანგი ფაბიენ კოსიე (20 ქულა, 6 მოხსნა) და ბერძენი იანის ბურუსისი (17 ქულა, 10 მოხსნა) იყვნენ, „ცედევიტას“ კი 12 ქულით მარკო არაპო-ვიჩმა უღიდერა. რაც შეეხება ჯეიკობ პულენს, რომელიც გასულ ევრობასკეტზე საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავდა, მან 21 წუთში 7 ქულა, 3 მოხსნა და 3 პასი მოაგროვა.

სტამბოლები ბოლო პერიოდის წინ 1 ქულით აგებდნენ, თუმცა, პერიოდი 13:2 გაქცევით დაიწყო და 10 ქულით დანაშაურობდნენ. დარწმუნებული ვარ, „მაკაბის“ მინიმუმ 20 ქულით გაქცევა მართებდა, რაც ფანტასტიკის სფეროს წარმოადგენდა. საბოლოოდ „დარუშაფაკამ“ 66:70 წააგო და ჯგუფში მე-4 ადგილზე გასვლით ტოპ-16-ის საგზური დაიბევა.



მარკოიშვილი სასტრატო სუთელში არ ყოფილა და მოედანზე 16 წუთი გაატარა. ქართველმა უკანასაზღვრმა 3-დან სამივე ორიანი ააცილა, 5 სამიანიდან კი 1 ჩააგდო. მანუარმა საბოლოოდ 3 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა. სტამბოლებმა 11 ქულით ჯემონტ გორდონმა უღიდერა, ხოლო მილკო ბიელიცამ 10 ქულა ჩააგდო.

მაშ ასე, ცსკა-ს, „უნიკასას“ და „ბამბერგის“ კვალიად D ჯგუფიდან „დარუშაფაკა“ გავიდა და ახლა კენჭისყრას ელოდება, რათა მეორე ეტაპის მატჩებში გაიგოს. 16 საუკეთესო კლუბი 4 ჯგუფში გადანაწილება და საუკეთესო 8 გუნდის გამოსავლენად იბრძობებს.

ვიტალი ჯაფარიძე

ფასუხური

ფინალისტი ავროთასებიდან მოკვეთეს

უიშვს ფინანსური კონტროლის ორგანომ ევროპის ლიგის გასული გათამაშების ფინალისტი დენბრომეტროვის „დნიპროს“ სანქცია დაუწესა და ევროთასებში მონაწილეობა აუკრძალა.

გადასახადების დაგვიანების გამო ჯამში სანქცია ექვს კლუბს დაუწესდა და აქედან 4-ს ევროთასებში თამაში 3 წლით აუკრძალა. რომელი ადგილიც არ უნდა დაიკავონ ეროვნულ ჩემპიონატებში „დნიპროს“, რუმინულმა კლუბებმა „ტირგუ-მურეში“ და „ასტრამ“, ასევე აზერბაიჯანულმა ბაქოს „ინტერმა“, ისინი 2016/2017, 2017/2018 და 2018/2019 წლების ევროთასებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.



კლუბებს 2016 წლის 31 იანვრამდე შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ დაფარეს ყველა გადასახადი, რომლებიც კრედიტორული დავალიანების სახით დაერიცხათ. გარდა აკრძალვებისა, „დნიპროს“ ჯარიმის სახით 100 ათასი ევროს, „ასტრას“ 80 ათასის, ხოლო „ტირგუ-მურეშსა“ და „ინტერს“ 50-50 ათასის

ბიურჯი შოთაძე

„ჩელსი“ მოურიხო განთავისუფლა

რომლოც BBC იუწყება, ლონდონის „ჩელსის“ ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან 52 წლის „განსაკუთრებული“ ყოფილი მოურიხო განთავისუფლა. აღნიშნული ინფორმაცია მოგვიანებით „არისტოკრატების“ ოფიციალურმა ვებგვერდმაც დაადასტურა.

ასრულეს, ხოლო 4 მოიგეს. მოურიხოის ბოლო მატჩში „ლესტერთან“ მისი შეგირდები 1:2 დამარცხდნენ.



მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგაზე „ჩელსი“ ჯგუფური ეტაპიდან პირველი ადგილით გავიდა, მოურიხოის პოსტი მაინც დაატოვებინეს. „არისტოკრატების“ დამრიგებლის პოზიციაზე, BBC-ის ცნობით, პეპ გუარდიოლას, გუს ჰიდინოს, ბრენდან როჯერსის და სუანდერამოსის კანდიდატურები განიხილება.

კომა კოხახიძე

ინტერნეტიდან



კარდაშიანი ჰამფრისის დასცინის

მწარედ მოგუტყუებივართ იმას, ვისაც უთქვამს – ადამიანს ცუდი ამბები მალევე ავიწყდება და მერე მთელი ცხოვრება ცდილობს ძველი და მოუხმული ისტორიები ნაკლებად გაისწოსოს. მაგალითად, ქუჩა-თემოდაიად ამერიკელ-სომეხი მოდელის კიმ კარდაშიანის ბიოგრაფიაც ნათლად ცხადყოფს ამას.

უკვე ორ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც კიმი მის ანუკვე ყოფილ ქმარს, ცნობილ ამერიკელ კალათბურთელ კრის ჰამფრისს გაშორდა. ამის შემდეგ კარდაშიანის სარეცელში ვისაც კი არ დაეზარა, ყველამ იბულრავა, მაგრამ ეს ქალი მაინც იმ აყლაყუდა ჰამფრისის ისხენებს და ხშირად დასცინის ხოლმე.

ამას წინათ კარდაშიანების დიდ, მდიდრულ და მრავალი ცოდვის მხილველ ვილაში დიდი წვეულება მოეწყო, სადაც მრავალი ცნობილი ადამიანი იყო მიწვეული და კიმ კარდაშიანი, თურმე, ყველას სულ სიცილ-კისკისით უყვებოდა კრისის სიშტერის ამბებს, რამაც სტუმრები გვარიანად ამხიარულა. ამის მერე მოდი და ენდე ასეთ ქალს...

როსტომ რაჭველიშვილი

☉ უნიათობა თუ აბტი...

თოვლის პაპა „პოსლუგე“ დაღის

უსაჩუქრო ზეიმები თბილისის საბავშვო ბაღებში

საბავშვო სივრცეებში, მართლაც რომ, მოულოდნელი აღმოჩნდა თბილისის ერთ-ერთი ბაღის აღსაზრდელებისთვის.

მთელი თვე ვემზადებოდით მე და ნიკოლა თოვლის პაპას დასახვედრად. სიხარულით მიდიოდა ყოველ დღე ბაღში, მონდომებით სწავლობდა ცეკვებს, სიმღერებს, წელიწადის დროებს, გამოცანებს, ანგარიშს... ბედნიერი იყო, როცა დილით არემარეს მოავლებდა თვალს და ყინვას თოვლთან აიგივებდა, ალბათ, მალე თოვლის პაპაც მოვაო, უხაროდა.

დადგა ნანატრი ზეიმის დღეც. გამოიპრანჭა ნიკოლა დათუნის ფორმაში, ხომ უნდა მოეწონებინა თავი თოვლის პაპისთვის?!

სანამ ზეიმი დაიწყებოდა, მოულოდნელად ვკითხე მასწავლებელს, თოვლის პაპა ხომ მოვამეთქი. თოვლის პაპა კი მოვა, მაგრამ საჩუქრებს მოგვიანებით მოუტანენ ბავშვებს. მოგვიანებით რას ნიშნავს-მეთქი... რაღაც ტენდერის ამბებმა დაიგვიანა და საჩუქრებს მომავალ კვირას დაარბიებდნენ... სახტად დავეჩვიე, მასწავლებელმა კი თავი უკმაყოფილოდ გააქანა... ჩვენ რომ შევავლოთ საჩუქრის ფული-მეთქი. არა, მე-

რიამ სასტიკად აგვიკრძალაო! – მიპასუხა ქალბატონმა ნანამ. რაღას ვიზამდი, უხასიათოდ დაველოდე ზეიმის დაწყებას.

მოკლედ, მოვიდა თოვლის პაპა. ბავშვებო, მივიღე თქვენი წერილები და საჩუქრებს ბაღის ქვეშ დაგიტოვებთ ახალი წლის ღამესო... აცეკვა, ამღერა პატარები და წავიდა.

– დედიკო, საჩუქარი რატომ არ მოგვითანა, ცუდი ბავშვები ვართ? – მკითხა დაბნეულმა ნიკოლამ, რომელმაც თოვლის პაპასთან სურათი არც თუ აღფრთოვანებულმა გადაიღო.

– თოვლის პაპას საჩუქრების ტომარა იმ თვითმფრინვაში ჩარჩა, რომლითაც მოფრინდა. მობრუნდება და მოგიტანს-მეთქი... ჩაიღიმა და გაჩუმდა... ნიკოლასი რა გითხრათ, მაგრამ მე კი ისე ძალიან დამწყდა



გული, რომ ლამის ვიტირე... არასოდეს, არც ერთ წელიწადს არ მოსულა თოვლის პაპა უსაჩუქროდ. არც ჩემს ბავშვობაში, არც ჩემი უფროსი გოგონას პა-

ტარობისას. თოვლის პაპას ყოველთვის მოჰქონდა კანფეტები და ხილი. ლამაზად შეფუთული პარკიდან ყველაფერი საოცარი ჩანდა, თოვლის პაპას ნამდვილი სურვილიდან დარიგებული... ახლა რაღა მოხდა?!

გული დამწყდა არა იმის გამო, რომ საჩუქარი არ ერგო ჩემს პატარას, არამედ იმის გამო, რომ ასე სასაცილოდ გამოიყურება ხელისუფლება, რომელზეც ძალიან დიდ იმედს ამყარებდა საზოგადოება, რომლისაც გვეჯეროდა. ნუთუ, მერის არ შეეძლო იმის ორგანიზება, რომ ბაღებში ასეთი სკანდალი არ მომხდარიყო, რომ მშობლებისთვის საჩილიკო და სალაპარაკო არ მიეცა?... ახალი წელი მოძრავი თარიღი ხომ არ არის, რომ რაღაცის დაგეგმვა ვერ მოასწრო? ხომ იცით, რომ თითქმის მთელი დეკემბერი სახალწლო ზეიმებისა და ღონისძიებების პერიოდია. განა, რა ისეთი სამზადისი უნდა საბავშვო საჩუქრების დამზადებას და ორგანიზებას, რომ დროში ვერ მოესწროს? მერე სწყინო ხოლმე, როცა ხელისუფლებას უნიათობა კი არა, უფრო მეტი, დანაშაულიც კი არის, როცა პატარების საჩუქრებისთვის ფულს ხარჯავ, და მაინც ხელცარიელ თოვლის პაპას აგზავნი ბავშვების „გულის გასახარად“.

რა ვნა, პირადად ვიცი თბილისის მერს, ძალიან დიდ პატივს ვცემ და ვაფასებ, როგორც თეორეტიკოს ეკონომისტს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ, როგორც პრაქტიკოსს და როგორც მერს, აშკარად ბევრი იაღლიში მოსდის!

თბა მოსია



შვილები რუსუდან მღებრიშვილი, ანა მენაბდე, ლაშა ამირეჯიბი, შვილიშვილები თინათინ, ნიკოლოზ ამირეჯიბები, ისაბა, ანა, ერეკლე ტორთაძე, ირაკლი, მარიამ, სანდრო, დემეტრე, სოფო, გიორგი, ელენე მენაბდეები, რძალი მაკა ჩხვიძე, სიძეები ალექსანდრე მენაბდე, გიორგი ტორთაძე იუწყებიან

მარიანა მხაიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი 19 XII, 16 სთ. გამოსვენება 20 XII, 15 სთ. კრწანისის წმ. ნიკოლოზის ტაძრიდან (ორთაქალაქი). დაკრძალვა საბურთალოს ძმთა სასაფლაოზე.

ალექსანდრე, ეკა შენგელიძე, ზაზა, ანა, სანდრო საკანდელიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯამბულ მისაილის ძე შენგელია

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს, მის სანათესაოსა და მრავალრიცხოვან სამეგობროს. დაკრძალვა 19 დეკემბერს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში.

☉ საგზირივი

მემორანდუმი ქართველ ბოტანიკოსთა დასახმარებლად

21 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ვიზიტორთა ცენტრში საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტი და საქველმოქმედო კომპანია „ქართული თემის განვითარების პროგრამები – კვალი“ (ნიუ-ჯერსი, აშშ) ხელს მოაწერენ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის მიზანია, საფუძველი ჩაეყაროს ბოტანიკის სფეროში სამშრვი ურთიერთსასარგებლო კვლევითი და გამოყენებითი პროგრამების დაწესებასა და განვითარებას.



ერთობულ შტატებსა და საქართველოში არსებული რესურსების გამოყენებას ერთობლივი პროექტებისთვის საჭირო დამხმარე ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებაში, პროგრამის შედეგების გაცნობას აშშ-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მათ კომერციული ბაზრებზე.

მემორანდუმს ხელს მოაწერენ ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორი თამაზ დარჩიძე, სსიპ ილიას სახელობის უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი შალვა სიხარულიძე და ორგანიზაცია „კვალის“ პრეზიდენტი შოთა ვაშაკიძე.

მემორანდუმის პირობები ითვალისწინებს პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტების ჩართულობას კვლევით და სასწავლო პროგრამებში, მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა თუ სემინარებში, ბოტანიკის სფეროში კვლევების მიღწევების პრაქტიკულ დაწესებას, ბოტანიკურ ბაღში საცდელ-ექსპერიმენტული სამუშაოების წარმართვას. ამერიკის შე-

სანთელი

ელენე შარაბიძე



მთელი რაჭა გული სტკივლით ეთხოვება ქართველი მანდილოსნის ყველა ღირსებით შემკულ ძვირფას ქალბატონს, დიდი კულტურული კერის კოლორიტულ დისახლისს **ელენე შარაბიძეს**.

სახელოვანი რეჟისორის, მსახიობისა და ფართო დიაპაზონის შემოქმედის, მართლაც რომ სახალხო არტისტის გიგა ჯაფარიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა ძნელია წარმოიდგინო მისი მარადიული სიყვარულისა და ერთგული ცხოვრებისეული მეგობრის გარეშე. დიას, ელენე ბიცოლამ დაუმსახურებელი ფსიქოლოგიური დარტყმების შემდეგაც არ გააცვივა თეატრი მთაში, შეუნარჩუნა მას ქვემარტივი ხელოვნების დამფასებელთა მიზიდულობის ცენტრის ფუნქცია და პირნათელი წარსდგება უფლის სამსჯავროზე.

მადლიერ სანათესაოს სახელით, **გია პლატონიშვილი**

☉ ინფორმაცია

ანაბაში კახილი დააკავეს

შს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ამავე სამმართველოს მიერ ოჯახში ძალადობის ბრალდებით 2015 წლის 2 სექტემბრიდან ძებნილი, 1988 წელს დაბადებული ნიკოლოზ კ. სიღნაღის რაიონის სოფელ ანაბაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2015 წლის 30 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩალაუბანში ფიზიკური შეურაცხყოფა მიყენა მუღლეს - 1991 წელს დაბადებულ ლუიზა ფ.-ს.

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ნიკოლოზ კ-ს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა.

☉ თქვენ აგოვთ...

– რაო? „ფიმ-ფამ-ფომ“?! ვა-ა!

ამ ბოლო დროს სხვადასხვა რანგის ჩინოსნები, პოლიტიკური „წერილენობა“ თუ ჟურნალისტები, მშობლიური ენის ყველასთვის გასაგებ სიტყვებს ისეთი „ფიმ-ფამ-ფომ“ ინგლისური ტერმინებით, გაერთიანებით, კინოფილმებისა თუ სიმღერების სახელწოდებებით ანაცვლებენ, ძალიანაც რომ გინდოდეს კაცს, მაინც ვერაფერს გაიგებ. ასეთებში, მაგალითად „პაბი“, „ბორდი“, „ქეისი“, „კლასტერი“... არადა, თითქმის ყველა სიტყვის (უახლესი ტექნოლოგიური ტერ-

მინოლოგიის გარდა) შესატყვისი ქართულში თავისუფლად მოიძებნება, უბრალოდ ტკინს ოდნავ განძრევა უნდა. მაგალითად, „პაბი“ – გადასასვლელი კვანძია, „ბორდი“ – სამეთვალყურეო საბჭო, „კლასტერი“ – შეჯგუფება, გაერთიანება, „ქეისი“ – რაიმე შემთხვევა, ვითარება. ამერიკა-ნიშებში კი ზემოჩამოთვლილი საზოგადოების „ნაღებისთვის“, როგორც ჩანს, დანარჩენი მასისგან გამოსარჩევი ნიშანია და როგორც ერთმა ოდიოზურმა ქალბატონმა

„გაგვიმხილა“, „კაიტოპის“ „ჯინჯილია“.

ყველაფერი ეს, საბოლოო ანგარიშით, მოუმნიფებელი მოზარდის ყოყლოჩინობას ჰგავს, რომელსაც თანატოლთაგან გამორჩევა, ანდა გოგონასთვის თავის მონება სურს და ამიტომაც გაუთავებლად იპურჭყება, იგინება და, საერთოდაც, უზნეოდ იქცევა. მაგრამ ეს ასაკობრივი სწეულება და, სწორი აღზრდის პირობებში, ის დიდი გართულებების გარეშე გადის, მაგრამ ზრდასრულ, სამაჟუ-




ლო თუ ნაირ-ნაირ უცხოურ დიპლომათ „ჯორნელისტებისა“ თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ას-

სულიერება

ბილოცავი ნიკოლოზობას!

19 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სასწაულოქმედ ნიკოლოზს. ნიკოლოზობას განსაკუთრებული ზემოთ დღესასწაულობენ საქართველოში, რადგან საქართველოს ერთ-ერთი მფარველი წმინდანი სწორედ სასწაულოქმედი ნიკოლოზი განლავთ.



ყველასათვის ცნობილია, რომ 2011 წელს სვეტიცხოველში, მირონის ხარშისას, ერთ-ერთ კედელზე სასწაულოქმედი ნიკოლოზი გამოისახა! ეს ფაქტი მიჩნეულ იქნა საქართველოსთვის სიკეთის მომასწავებლად.

დღეს მოგიხრობთ ნიკოლოზის სახელობის ტაძრის ერთ-ერთ ფრესკაზე აღნიშნულ ეპიზოდზე. წმინდა ნიკოლოზს წმინდა მინის მონახულება

სურდა. მან პატარში გემი დაიკირავა და პალესტინაში გაემგზავრა. მშვენიერი ამინდი იდგა, მაგრამ, წმინდანმა განსაკუთრებული გამოცხადებით შეიტყო, რომ ქარიშხალი უახლოვდებოდათ, ამის შესახებ თანამგზავრებს აცნობა. მართლაც, მალე ქარაშოტი ამოვარდა და ხომალდი ალღევებულ ტალღებზე ათამაშდა. წმინდანის ლოცვით ქარი მალე ჩადგა და დიდი სიჩუმე ჩამოწვა. ამის შემდეგ ერთი მეზღვაური ქარმა ანძიდან ერდოზე გადმოაგდო და იგი სასიკვდილოდ გაიმეტა. სასწაულმოქმედი წმინდა ნიკოლოზმა იგი თავისი ლოცვით გააცოცხლა.

...ნიკოლოზმა იმ ქალაქში ცხოვრება არ ისურვა, სადაც იცნობდნენ და აქედნენ... იგი ახლოს მდებარე ქალაქ მირონში (მირი) გაემგზავრა. ეს ლუკიის (ლიკიის) მხარის მთავარი ქალაქი იყო, სადაც საეპისკოპოსო კათედრა მოქმედებდა. წმინდა ნიკოლოზი მირონში ლატაკივით დასახლდა. იგი ტაძარში ყოველ დღით დადიოდა და ლოცულობდა.

წმინდანის მოსახელეთ გულითადად ვულოცავთ ნიკოლოზობას, მრავალს დასწრებოდეთ!

გიული ლიპარტია

ორი სათრეველა

რომლებიც დაბადა ერთ-ერთი პარტიისადმი ლევან ღვინჯილიას მიმართვამ და გაფრთხილებამ: პარტიები საქართველოს დაღუპავენო.

ბირჩი

„ლავეს“ და „ინჩეს“, ლევანი გირჩევთ, დაირქვათ „გირჩა“, შეეშვათ „გირჩებს“, შეეშვათ, ყინჩად ვინც ხელზე გირჩევთ და თავს სამშობლოს გაყიდვით ირჩენს!

რაზეთუ პირველი იყო სიტყვა ლა სიტყვაში იგი იყო ლეპირი. დაანებე თავი გირჩებს და ისწავლე ინჩი-ბინჩი. ყური უგდე, რასაც გირჩევთ, „გირჩა“ და არა „გირჩი“, თუმცა, მაინც არ აგირჩევთ, რაკი ერთხელ გადაგირჩით!

ალექსანდრე შენგელია

სკანვორდი

30-cell crossword puzzle grid with clues in Georgian. Includes images of a woman's face and a woman's portrait.

ცინცხალი ანეკდოტები

- შიშველი მამაკაცი, რომ იცით, რაც გელოცა, – ეუბნება მოსამართლე მოწმეს.
– ვიცი, „მერსედესს“ დამპირდნენ...
– ბავშვი, რომ დაქორწინებულხარ. რამ გადაგაწყვეტინა ეს ასე უცებ?
– არ მინდოდა საროსკიპობებში სიარული.
– ახლა?
– ახლა მინდა!
– რატომ ხარ ასე გამხდარი? შიშვილო?
– ასეთია კონსტიტუცია.
– ანუ სხეულის აგებულება?
– ანუ სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

- მამაკაცი ეძებს ქვიან, ლამაზ, მხიარულ, სექსუალურ, ბინიან, მანქანიან, ერთგულ და უანგარო ქალს. მაგრამ ისმის კითხვა: თქვენ რაში სჭირდებით მას?
– მეუბნებიან, რომ ამ შლაბით ათი წლით ახალგაზრდად გამოვიყურებო.
– რამდენი წლისა ხარ?
– შლაბით თუ უიმისოდ?
ცოლ-ძმბრი დივანზე წევს. ქმარი გაზეთს კითხულობს, ცოლი მოწვენილია.
– დიმა, გიყვარვარ?
– მიყვარხარ, სამშობლოსავით მიყვარხარ.
– როცა მოვედები, იტირებ?
– ვიქვითინებ, საყვარელო, ნიანგის ცრემლებით.
– აბა მაჩვენე როგორ იქვითინებ.
– ჯერ მოკვდი და მერე ნახავ.

კადრი



Publication information including contact details for Sakartvelos Respublika, ISSN 2233-3851, and subscription rates.